პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 107 (7669)
6 ივნისი,
ოთხშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ოლიმპიური იდეალები წმიდათაწმიდაა

რამდენად მართებულია ოლიმპიური თამაშების ჩატარება მუდამ ერთ ქვეყანაში?

დავა და კამათი ამ იდეის ირგვლივ მუდამ იყო, მაგრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ერთადერთ სწორ პასუხს ცხოვრება იძლეოდა.

ოლიმპიურ ქარტიაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის უმთავრესი დოკუმენტი იმთავითვე გამორიცხავდა ასეთ შესაძლებლობას.

მაგრამ ეს იდეა ასე თუ ისე პოპულარული იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში. უფრო პოპულარული გახდა იგი 30-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ევროპას ტოტალური ფაშიზმის შავი ღრუბლები დააწვა. ოლიმპიური თამაშების ერთ მუდმივ ადგილსამყოფელზე საუბარი მთელი ძალით განახლდა ამ ოციოდე წლის წინათ.

ცხოვრება თავად იძლევა პასუხს

ერთი რამ არის საგულისხმო და ნიშანდობლივი: ყოველი კრიზისული სიტუაცია ამ თემის რომელიმე ახლებურ ვარიანტს წარმოშობს. ორი ათეული წლის წინ ოლიმპიადების მუდმივ მასპინძლად, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, საბერძნეთს ასახელებდნენ. ამ აზრს, სხვათა შორის, მცირედი სახესხვაობით ოფიციალური საბერძნეთიც იზიარებდა. მაგრამ ოლიმპიურმა სამყარომ კატეგორიულად უარყო არა მხოლოდ ეს კანდიდატურა, არამედ თავად იდეა, როგორც ოლიმპიზმის პრინციპებთან შეუთავსებელი სიახლე.

ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა ბოლო პასუხი ყველა ჯურის რეფორმატორებისა და რევიზიონისტების მცდელობაზე. მაგრამ ასე არ მოხდა. ახალმა კრიზისულმა სიტუაციამ ძველისძველი იდეის რამდენიმე ახლებური ვარიანტი წარმოშვა.

ერთ-ერთი ასეთი ვარიანტის თანახმად, ყოველ კონტინენტზე უნდა შეიქმნას ოლიმპიური მოძრაობის მუდმივი ცენტრი—თამაშების მთავარი ადგილსამყოფელი, რომელიც ოც წელიწადში ერთხელ უმასპინძლებს მსოფლიო სპორტსმენთა ფორუმს. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ასეთ კანდიდატთა შორის ასახელებდნენ მონრეალს, მეხიკოს ან ლოს-ანჯელესს, ევროპაში — მიუნჰენს ან პარიზს, აზიაში — ტოკიოს და ა. შ. „მხოლოდ ამ გზით თუ მიაღწევს ოლიმპიური მოძრაობა XXI საუკუნეს“ — ამტკიცებენ ახალი მოსაზრების მიმდევრები.

დასაფასებელია, როცა ესა თუ ის სპორტული მოღვაწე ასე „მასშტაბურად“ ზრუნავს ოლიმპიზმის იდეის გადარჩენისთვის. სასიამოვნოა ისიც, რომ მათ ოლიმპიური თამაშები არ მიაჩნიათ მხოლოდ მოკლევადიან სპორტულ ღონისძიებად. გასაკვირი მხოლოდ ის არის, რომ ამ კეთილმოსურნეთაგან სერიოზულად არავინ ეძებს კრიზისის მიზეზებს. არადა ამ მიზეზებში ჩაღრმავება ბევრ დღემდე ბუნდოვან ასპექტს მოჰფენდა ნათელს.

ყველას კარგად ახსოვს 1970 წელი. იმ წელიწადს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიამ ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზაცია დენვერს (აშშ, კოლორადოს შტატი) დააკისრა. ალბათ ისიც კარგად გახსოვთ, რომ 1976 წლის ოლიმპიადა დენვერის ნაცვლად ინსბრუკში ჩატარდა.

რა მოხდა მაშინ? ბევრი არაფერი: ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ვერ ამოუჩინა ფინანსური დახმარება გაკოტრების პირას მყოფ ქალაქს. არადა კოლორადოს შტატის ხელისუფალნი, დენვერი კი ამ შტატის დედაქალაქია, ოლიმპიურ თამაშებს აშშ-ის 200 წლისთავის ზეიმს უკავშირებდნენ. სამწუხაროდ, ამ კეთილშობილურ იდეას განხორციელება არ ეწერა, მხოლოდ იმის გამო, რომ ოფიციალურ ვაშინგტონს არ იზიდავს ოლიმპიზმის პრინციპები. კიდევ კარგი, რომ სკანდალური კრიზისის ჟამს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მხარში ამოუდგა ავსტრიის ქალაქი ინსბრუკი და 1976 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება ივალდებულა. თორემ კრიზისი უფრო შორს წავიდოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აშშ-ს რეაბილიტაციის საშუალება მისცა — ზამთრის მორიგი ოლიმპიადის ორგანიზაცია ლეიკ-პლესიდს დაავალა. რა გამოვიდა აქედან, კარგად გახსოვთ. ორგანიზატორებმა ვერც ამჯერად გაართვეს თავი (ან არ გაართვეს) უმარტივეს პრობლემებს და სპორტის ზეიმი არნახულ ქაოსს დაამსგავსეს. მსოფლიოს პრესამ მძიმე განაჩენი გამოუტანა ლეიკ-პლესიდს ოლიმპიური წესდებისა და ტრადიციების უხეში დარღვევისათვის. თავის მხრივ, პროტესტი გამოთქვეს საერთაშორისო და ეროვნული სპორტულ გაერთიანებათა ხელმძღვანელებმაც. სამწუხაროდ, ყველაფერი ამით დასრულდა.

ცოტა ხნის მერე ლოს-ანჯელესის ჯერიც დადგა.

1978 წელს, როცა სოკ-ის ერთ-ერთ სესიაზე ამ კანდიდატურის შესახებ მსჯელობდნენ, ხაზგასმით აღინიშნა, ლოს-ანჯელესის სპორტული ნაგებობები ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. მაგრამ ოლიმპიადა-84-ის ორგანიზატორებმა ყურად არ იღეს საქმიანი შენიშვნები, კატეგორიული უარი თქვეს ახალმშენებლობებზე და მხოლოდ რამდენიმე ბაზის რეკონსტრუქცია ივალდებულეს.

ოლიმპიურ ქარტიაში ხაზგასმულია, რომ თამაშების მომწყობმა ქვეყანამ უნდა ააშენოს ორი ოლიმპიური სოფელი — ერთი ვაჟებისათვის, ერთი — ქალებისათვის. ოლიმპიური სოფელი ააშენეს ტოკიოსა და მეხიკოში, მიუნჰენსა და მონრეალში, მოსკოვსა და სარაევოში. ოლიმპიური სოფელი აშენდა ინსბრუკში, გრენობლში, საპოროში...

ამერიკელებმა კი რატომღაც ვერ ააშენეს, უფრო სწორედ კატეგორიული უარი თქვეს ასეთ მშენებლობაზე და სანაცვლოდ სპორტსმენებს შესთავაზეს სამხრეთ კალიფორნიისა და ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტების საერთო საცხოვრებლები, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია მთელი 15 კილომეტრით. სახსრების უქონლობაზე ლაპარაკი, ცხადია, უაზრობაა. სამაგიეროდ ფაქტი ისაა, რომ ამერიკაში პატივს არ სცემენ ოლიმპიურ იდეებს. ამ ქვეყნის მმართველ წრეებს აღიზიანებთ ყველაფერი, რაც მშვიდობისა და ხალხთა თანამეგობრობის იდეებს უკავშირდება.

ოლიმპიურ ქარტიაში ისიც არის ნათქვამი, რომ არ შეიძლება თამაშების ავტორიტეტის კომერციული მიზნით გამოყენება. მაგრამ ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა სულ უფრო მეტად ემსგავსება კომერციულ შოუს, სადაც ოლიმპიური ცეცხლის მოგზაურობა, ტელერეპორტაჟების ორგანიზაცია, საზეიმო ცერემონიალები და გამარჯვებულთა დაჯილდოება წმინდა ამერიკულ სტილშია გადაწყვეტილი.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ცდილობს დანერგოს შოვინისტური განწყობილება ოლიმპიადის მთავარ ქალაქში, შეიქმნას მუქარისა და შანტაჟის აუტანელი ატმოსფერო. ამ წესს ნერგავდა იგი თვეების მანძილზე. ახლა კი სურს დაამტკიცოს, რომ ოლიმპიურ იდილიასა და მყუდროებას ლოს-ანჯელესში არაფერი ემუქრება. ვინ დაიჯერებს?

ვისაც მშვიდობის ერთგულ გუშაგად მოაქვს თავი, უნდა ახსოვდეს კიდეც წარსულის მწარე გაკვეთილები, უნდა იცოდეს, რა შეიძლება მოხდეს მტრული სულისკვეთებით დამუხტულ ქალაქში. სოციალისტური ქვეყნების ოლიმპიურმა კომიტეტებმა დროულად და ფხიზლად ამხილეს ეს ყველაფერი. ბურჟუაზიული პრესაც კი, რომელიც სხვა მხრივ არ გამოირჩევა დემოკრატიული ძალებისადმი სიმპათიით, იძულებულია აღიაროს, რომ „ლოს-ანჯელესში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები აშკარად უთანაბრო პირობებში იქნებიან სხვა მონაწილეებთან შედარებით.“

საბჭოთა სპორტი დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა ოლიმპიური სტარტებისათვის, მაგრამ მას ეს უფლება წაართვეს. არა გვგონია, რომ ოლიმპიადამ ამით რაიმე მოიგოს.

დღეს მოსკოვში იწყება უმაღლესი ლიგის რეგბისტთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები. როგორც ცნობილია, ქუთაისის „ხალმშენი“ და თბილისის „ლოკომოტივი“ ამ ჩემპიონატში მონაწილეობენ. მანამდე ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. (იხ. მე-4 გვ.)

საქართველოს თასის გათამაშება აკრობატიკაში

საქართველოს წლევანდელი თასის გათამაშება აკრობატიკაში, რომელიც სოხუმში გაიმართა, საკმაოდ ხალხმრავალი იყო — აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, რუსთავისა და თბილისის გუნდების გვერდით უკონკურსოდ ასპარეზობდნენ ამ სახეობაში საბჭოთა ქვეყნის წამყვანი რეგიონების — ტაჯიკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და ლენინგრადის კოლექტივები.

ასპარეზობა სასარგებლო გამოცდა გამოდგა როგორც სტუმრებისთვის, ისე მასპინძლებისთვის. ივნისში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება მოეწყობა, სადაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა საპრიზო ადგილისთვის უნდა იბრძოლონ. მოსწავლეებისთვის კი სოხუმში გამართული შეჯიბრება ტაშკენტის საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ სპორტის ამ სახეობაში კონკურენცია საგრძნობლად გამწვავდა. პირველობისთვის მძაფრი ბრძოლაა გაჩაღებული. თუმცა ჯერჯერობით ამას ვერ ვიტყვით შერეულ და ძალისმიერ წყვილებზე. აკრობატიკის ამ სახეობებში მოსწავლეთა შორის ჯერ კიდევ ვერ გამოჩნდნენ ისეთი ძლიერი სპორტსმენები, რომლებიც შეძლებენ ლიდერებს მხარი აუბან.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისელთა ახალი წყვილის, მსოფლიო ჩემპიონების, „ოქროს სამეულის“ წევრების მანანა მნათობიშვილისა და მაია შილაკაძის გამოსვლამ. საერთოდ, ამპლუის შეცვლა ხანგრძლივი პროცესია და ერთგვარად რისკთანაც არის დაკავშირებული. საბედნიეროდ, ჩვენი გოგონების ნიჭმა, ნებისყოფამ, შრომისმოყვარეობამ და მათი მწვრთნელის ვლადიმერ გურგენიძის თავგამოდებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. თბილისელმა სპორტსმენებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს საქართველოს თასის გათამაშებაში და, რაც მთავარია, სამომავლოდ მეტი იმედი დაგვიტოვეს. სამწუხაროა, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ წყვილთა შორის მსოფლიო ჩემპიონები სვეტლანა მკრტჩიანი და ლუდმილა გლაზუნოვა. მათი გამოსვლა ინტერესს შემატებდა ასპარეზობას.

ხტომაში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ყველას აჯობეს ჯუმბერ ლაშხის აღზრდილებმა — ია ხოფერიამ და ზურაბ კილაძემ. ვაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს დათო გაგოშვილმა და ზურაბ ნიკო-

(დასასრული მე-4 გვ.)

ორიენტირი— ვარსკვლავში

სურათზე: გამარჯვებული სამეული — ლალი მელაძე, მაია გვრიტიშვილი და მედეა თოთლაძე.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ინფორმაცია

პირველი გამარჯვების სიხარული

ბელიავსკი შემტევი სტილის მოჭადრაკეა, მაგრამ ბუგოინოს დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის პირველ რვა ტურში მან ერთი პარტიაც ვერ მოიგო. ამიტომ მისი ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, როდესაც ლვოველ დიდოსტატს თამაში უნდა განეახლებინა ინგლისელ მაილსთან შეწყვეტილ პარტიაში. შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად კვირას მოეწყო. ბელიავსკიმ ზუსტი თამაშით პირველი გამარჯვება იზეიმა, მეორე გადადებული პარტია კი — კოვაჩევიჩთან — ყაიმით დაამთავრა.

იმ დღეს პირველად გაიმარჯვა ლარსენმაც. მან მოუგო გლიგორიჩს, რომელსაც მანამდე ყველა პარტია ყაიმით ჰქონდა დამთავრებული. ივანოვიჩი დამარცხდა ტორესთან.

8 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ტიმანი — 5,5 ქულა, რიბლი — 5, ლიუბოევიჩი, სპასკი — 4,5-4,5, ტალი, სმისლოვი, ანდერსონი, ბელიავსკი, ტორე — 4-4, გლიგორიჩი, მაილსი, კოვაჩევიჩი — 3,5-3,5, ლარსენი, ივანოვიჩი — 3-3, ტორე — 2,5.

ლიდერები ისევ ლიდერობენ

ინგლისის ველორბოლის მერვე ეტაპის ფინიშზე ასპარეზობის ლიდერი, საბჭოთა სპორტსმენი ოლეგ ჩუჟდა 2 წამით ჩამორჩა შვედ ლარს ვაკვისტს. იორკსა და ნოტინჰემს შორის 163,5 კილომეტრი ჩუჟდამ 4 საათში, 23 წუთსა და 53 წამში გაიარა. იგი კვლავ ლიდერობს რბოლას.

უწინდებურად ლიდერობს საბჭოთა ნაკრებიც, რომელიც შვედებს 9 წუთითა და 59 წამით უსწრებს.

ევროპულ ძიუდოში დღეისათვის ორი რეალური ძალაა — საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი. ამ ქვეყნებს რამდენადმე სერიოზულ მეტოქეობას ჯერჯერობით ვერავინ უწევს. ზოგჯერ, ამა თუ იმ ტურნირში სხვა კონკურენტებიც გამოჩნდებიან ხოლმე (მაგალითად, ჰოლანდია, გდრ, გფრ, და ა. შ.). მაგრამ იმის გამო, რომ მათი პრეტენზიები უმთავრესად ცალკეულ მოჭიდავეთა ნიჭსა და ტალანტზეა დაფუძნებული, ამინდს ევროპულ სარბიელზე, რა თქმა უნდა, ვერ ქმნიან. ამიტომ უახლოეს მომავალშიც მთავარი ბრძოლა ისევ და ისევ ამ ორი ქვეყნის სპორტსმენთა შორისაა მოსალოდნელი.

ვინ არის შემდეგი?

ნათქვამის საილუსტრაციოდ დროებით უკან დავბრუნდეთ. საბჭოთა კავშირი ევროპულ ტურნირებში 1962 წლიდან მონაწილეობს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს ძიუდოისტებს მოპოვებული აქვთ 52 უმაღლესი ჯილდო. გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას.

ფრანგების დებიუტი ევროპულ სარბიელზე უფრო ადრე, 1951 წელს შედგა, ფაქტიურად პირველსავე ჩემპიონატში, მაგრამ „ოქროს ნადავლით“ ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან ჩვენს სპორტსმენებს. იმავე მაჩვენებლებს თუ დავეყრდნობით, ძიუდოს იერარქიულ კიბეზე ჰოლანდია ჯერჯერობით მესამე ადგილს ინარჩუნებს (27 ოქროს მედალი), თუმცა კი ეს ოცდაშვიდი უმაღლესი ჯილდო საკმაოდ უთანაბროდ არის განაწილებული რვა სპორტსმენს შორის. მათში საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ მძიმე წონის ძიუდოისტებს ანტონი ჰეესინკს და ვიმ რუსკას. პირველის წილად მოდის 10 ოქროს მედალი, მეორის წილად — 7.

ეს — რაც შეეხება წარსულს, თუმცა ევროპის ბოლო ჩემპიონატშიც (1984 წელი, 3–6 მაისი, ლიეჟი) მთავარი კონკურენტები კვლავ საბჭოთა და ფრანგი ძიუდოისტები იყვნენ. დავხედოთ ცხრილს, იგი ასე თუ ისე იძლევა ბრძოლის საერთო სურათს:

	I	II	III
სსრ კავშირი	3	1	1
საფრანგეთი	2	1	3
გფრ	2	—	—
ინგლისი	1	—	1
გდრ	—	2	—
ჩეხოსლოვაკია	—	1	1
ბელგია	—	1	1
იტალია	—	1	—
უნგრეთი	—	1	—
ესპანეთი	—	—	2
რუმინეთი	—	—	2
ჰოლანდია	—	—	2
ავსტრია	—	—	2
შვეიცარია	—	—	1

თუ ამ ცხრილს შარშანდელი ჩემპიონატის შედეგებთან შევაჯერებთ, აღმოჩნდება, რომ საბჭოთა ძიუდოისტებმა, ისევე როგორც ფრანგებმა, ოდნავ უკან დაიხიეს (1983 წელს საბჭოთა კავშირს ჰყავდა 4 ჩემპიონი და 3 ბრინჯაოს პრიზიორი, საფრანგეთს — შესაბამისად 3, 1 და 1).

ჩვენი ახლანდელი ნაკრები ფაქტიურად თებერვლის მიწურულს დაკომპლექტდა, როცა კაუნასში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატი. ხუთ წონაში ევროპული ტურნირის საგზურები მიიღეს ჩემპიონებმა — ხაზრეთ ტლეცერმა, იური მერკულოვმა, მალხაზ ბერუაშვილმა, ალექსანდრე ტიურინმა და გენადი ვერიჩევმა. ამათგან ლიეჟში თავი გამოიჩინა მხოლოდ ტლეცერმა. ვერიჩევი მეორე იყო, მერკულოვი — მესამე, ტიურინი — მეხუთე, ბერუაშვილი კი, სამწუხაროდ ექვსეულშიც ვერ მოხვდა.

მსუბუქ და საშუალო წონებში, თითქოს და ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ჩემპიონების ნაცვლად ნაკრებში მეორე პრიზიორები შეიყვანეს — თამაზ ნამგალაური და ვიტალი პესნიაკი. საბედნიეროდ, ექსპერიმენტი სწორი გამოდგა. ნამგალაურიცა და პესნიაკიც შინ ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულები დაბრუნდნენ.

იმავე პრინციპით აღმოჩნდა ნაკრებში ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონი, 21 წლის ნიკოლოზ სოლოდუხინი. გასაგებია, რომ მწვრთნელებს მისი გამოცდილების იმედი ჰქონდათ. ისიც გასაგებია, რომ ვეტერანს მეტი ნდობა გამოუცხადეს, ვიდრე სხვა რომელიმე ახალგაზრდას. მაგრამ ამ შემთხვევაში, ვარაუდი არ გამართლდა: სოლოდუხინი ექვსეულში ვერ მოხვდა.

როგორც ხედავთ, ოპტიმალური ვარიანტის მიგნება სპორტში არც ისე იოლია. სწორედ ამიტომ, ნაკრების დაკომპლექტების დროს მწვრთნელები ზოგჯერ მხოლოდ ინტუიციას და ალღოს ეყრდნობიან. ინტუიციამ შესაძლოა სწორ გზაზე დაგვაყენოს, მით უფრო მაშინ, როცა სხვა გამოსავალი თითქოს არცა ჩანს, მაგრამ იმავე ინტუიციამ შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანოს.

მალხაზ ბერუაშვილის წარუმატებლობას ადვილად შეიძლება მიზეზი მოვუნახოთ: ახალგაზრდაა, სამყოფი გამოცდილება არა აქვს. ამის გამო ზოგჯერ გაუგებარ სიფრთხილეს იჩენს, ზოგჯერ — გაუმართლებელ სითამამეს. მაგრამ თემურ ხუბულურის შემდეგ აშკარა ფავორიტი ამ წონაში არც ყოფილა. მალხაზ ბერუაშვილს მომავალი წინ აქვს. ეს რომ მისი მთავარი კოზირია, უკვე დამტკიცდა თბილისის საერთაშორისო ტურნირსა და საკავშირო ჩემპიონატში.

თამაზ ნამგალაურის მაგალითი უფრო ორდინარულია და, ამდენად, უფრო ადვილი ასახსნელიც. მართალია, კაუნასში იგი მეორე იყო ჩელიაბინსკელი გორიჩევის შემდეგ, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ სავსებით გასაგები მიზეზებით უპირატესობა მის ოსტატობასა და გამოცდილებას მიანიჭა. ქართველ ძიუდოისტს ერთხანს ბედი არ სწყალობდა. 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მას გზა გადაუჭრა იაპონელმა კ. კაცუკიმ, ოთხი წლის შემდეგ კი — მეორე იაპონელმა ხ. ნაკანისიმ. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა უკვე თავისთავად ბევრს ნიშნავდა, ნამგალაური კი ორივეჯერ შინ ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.

ამიტომაც ვამბობთ უფრო დაბეჯითებით და გაბედულად, რომ ნამგალაურის ჩარიცხვა ნაკრებ გუნდში არავითარ რისკთან არ იყო დაკავშირებული. ეს ევროპის ჩემპიონატის შედეგებმაც დაადასტურა.

სულ სხვა მდგომარეობაა ქვემსუბუქ წონაში. აქ გამოკვეთილი ლიდერი ნიკოლოზ სოლოდუხინის გარდა არავინ ჩანს. სანამ ვლადიმერ ნევზოროვი ჭიდაობდა, სოლოდუხინი უძლიერესი იყო მჩატე წონაში. მერე წონა მოიმატა და ქვემსუბუქში გადავიდა, ორჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, 1980 წელს კი ოლიმპიური ოქროც მოიპოვა.

ასეთ კანდიდატურაზე უარის თქმა, როცა სხვა უფრო ღირსეული არა ჩანს, ცოტა არ იყოს ძნელი საქმეა. მაგრამ სპორტში, როგორც ცნობილია, იშვიათად ვითარდება სიუჟეტი ერთი სცენარით. მიუხედავად იმისა, რომ სოლოდუხინის ასაკმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, იგი ჯერჯერობით ერთადერთ რეალურ კანდიდატად რჩება თავის წონაში. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მან ახალ წარმატებას მიაღწიოს. თუმცა... ეს უკვე მარჩიელობა უფროა, ვიდრე საქმიანი საუბარი.

ნოდარ ახვლედიანი.



ჭიდაობის სამყაროში კარგად არის ცნობილი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის პროფესორის ივანე ალიხანოვის სახელი. იგი თითქმის ორმოცი წელიწადია ამ კათედრაზე მუშაობს, ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, მონაწილეობდა ჭიდაობის სახელმძღვანელოს შექმნაში, მონოგრაფიისათვის „თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკა“ 1978 წელს საკავშირო სპორტკომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. მისი ორი ნაშრომი თარგმნილია რუმინულ და ბულგარულ ენებზე.

ივანე ალიხანოვმა შარშან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „თანამედროვე სპორტული ჭიდაობის დიდაქტიკური საფუძვლები“. 1984 წლის 13 აპრილს სსრ კავშირის საკავშირო საატესტაციო კომისიამ მას დაუმტკიცა პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო წოდება. იგი ჭიდაობის სპეციალისტთა შორის პირველი მეცნიერებათა დოქტორია საბჭოთა კავშირში.

ურთიერთკავშირი უნდა განმტკიცდეს

— **საყოველთაოდ** ცნობილია, რომ თანამედროვე სპორტის განვითარებას მეცნიერების მიღწევები განსაზღვრავს, — გვითხრა ივანე ალიხანოვმა, — ჩვენს ქვეყანაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სპორტული წვრთნის მეთოდებისა და ფორმების სრულყოფისათვის, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის მართვის პროგრესული სისტემის შექმნისათვის. დღევანდელ პირობებში, როცა ასე გამწვავდა კონკურენცია საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, მაღალი შედეგების მოსაპოვებლად აუცილებელია წვრთნის ეფექტურ საშუალებათა დანერგვა, ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის გეგმაზომიერი შეხამება სპორტული მეცნიერების „რეცეპტებთან“. სამწუხაროდ, ჩვენთან თეორია და პრაქტიკა უმეტესწილად შორიშორ დგანან ერთმანეთისაგან. ყოველ შემთხვევაში, ჭიდაობაში მომუშავე პრაქტიკოს მწვრთნელთა და მეცნიერ-სპეციალისტთა შორის ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სასურველი კონტაქტები. მრავალმხრივი მეცნიერული გამოკვლევებით მიღებული არგუმენტირებული რეკომენდაციები ქაღალდზე რჩება, მწვრთნელთა უმრავლესობა კი კვლავ ძველი მეთოდებით მუშაობს. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება აფერხებს ჭიდაობის განვითარებას, სპორტული დაოსტატების პროცესს.

მახსოვს, ამ ათი წლის წინ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა დღეში ორჯერადი ვარჯიშის დამკვიდრების იდეას, არადა, წვრთნის ეს ფორმა ბევრგან უკვე აპრობირებული იყო. ისე ნუ გამიგებთ, თითქოს სპორტული მეცნიერება საერთოდ იგნორირებულია. რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებთან, უმეტესწილად დიდი შეჯიბრებებისთვის მზადების პერიოდში, სისტემატურად მუშაობენ სამეცნიერო-მეთოდური ჯგუფები, ნაკრების ზოგიერთ მწვრთნელსა და ამ ჯგუფების წევრებს შორის საქმიანი, შემოქმედებითი კავშირია დამყარებული, მაგრამ ეს მხოლოდ სასიამოვნო გამონაკლისია.

ჭიდაობის სპეციალისტთა „კართოთეკა“ ყოველწლიურად ახალ-ახალი მასალებით, საინტერესო სტატისტიკური და სხვა მონაცემებით ივსება. ამ მასალების გაცნობა-ანალიზი ხელს უწყობს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საფუძვლად ედება მომავალი საწვრთნელი ციკლის დაგეგმვას. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვთქვა, რომ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები იშვიათად ეწყობა. მაგალითად, აგერ უკვე ათი წელიწადია არ ჩატარებულა სემინარები თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მწვრთნელებისათვის. კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას: ჭიდაობა სპორტის სპეციფიკური სახეობაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორტსმენის ინდივიდუალურ მომზადებას კონკრეტული შეხვედრებისთვის, მეტიც, კონკრეტული მეტოქის წინააღმდეგ. მწვრთნელს პორტფელში უნდა ჰქონდეს ყველა პოტენციური კონკურენტის დოსიე და ამას უნდა შეუხამოს ყოველდღიური მუშაობა. მზადების ინდივიდუალური გეგმები, ზოგჯერ ნაკრებ გუნდებშიც კი, ფორმალურად, მე ვიტყოდი, შაბლონურად დგება და თითქმის არასდროს არ სრულდება.

ცხადია, არის კიდევ სხვა პრობლემა, წინააღმდეგობა, რომელიც ჭიდაობის ქართულ სკოლას საშუალებას არ აძლევს უფრო საფუძვლიანად და მასშტაბურად წარმოჩნდეს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ახლა ჩვენთან ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში სხვადასხვაგვარი ვითარებაა. ძიუდოისტთა და კლასიკოსთა მისამართით საყვედური არ გვეთქმის, თავისუფალ ჭიდაობაში კი, განსაკუთრებით, სამბოში, საგრძნობლად დაქვეითდა შედეგები. ამის ძირითადი მიზეზი, ჩემი აზრით, ის არის, რომ თავის დროზე ყურადღება მოაკლდა რეზერვს, ბავშვთა შორის მუშაობა თითქმის ჩაშლილი იყო. თავისუფალ ჭიდაობაში მდგომარეობა თანდათან სწორდება, გამოჩნდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, მომრავლდნენ საკავშირო და საერთაშორისო ახალგაზრდულ შეჯიბრებათა ჩემპიონები და პრიზიორები. საქართველოს ტალანტები არ აკლია და თუ მათი აღზრდა-დაოსტატება მომავალში სწორი გზით წარიმართება, შედეგებიც გაცილებით უკეთესი გვექნება.

ნაკლოვანებები აღიარეს

ამას წინათ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს შაშის ფედერაციის პლენუმი. დელეგატებმა გულახდილად ილაპარაკეს ამ ძველი თამაშის აწმყოსა და მომავალზე ჩვენს რესპუბლიკაში. აღნიშნეს, რომ მუშაობაში ნაკლოვანება მეტია, ვიდრე მიღწევები. დაისახა ღონისძიებები მუშაობის გამოსასწორებლად.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის ახალი შემადგენლობა 13 კაცის რაოდენობით. თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს რადიო-ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის პროგრამების დირექტორი ვახტანგ გეგელია, მოადგილეებად — თბილისის შაშის ფედერაციის თავმჯდომარე, ოსტატი სერგო თომაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელი, ოსტატი ზაქრო ქიტუაშვილი, მდივნად — ოსტატი ნიკოლოზ მამაკოვი.

ნინო იმხნელი.

სარბიელზეა მთელი ინსტიტუტი

დამთავრდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა ტრადიციული სპარტაკიადა, რომელიც ინსტიტუტის დაარსების 60 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო სპორტის 14 სახეობა. საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სამთო, მანქანათმშენებლობისა და ჰიდროსანტექნიკის ფაკულტეტის სტუდენტთა გუნდები. პროფესორ-მასწავლებელთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ჰიდროსანტექნიკის ფაკულტეტის ნაკრები.

საბჭოთა კავშირის პირველობა

I ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

4 ივნისს მოსკოვში შედგა I ლიგის საკავშირო გათამაშების XIV ტურის ბოლო მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და რიგის „დაუგავას“ შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების განვლილ ტურებში წარმატებით ითამაშეს ქუთაისის ტორპედოელებმა. მათ ჯიზაკში გაიმარჯვეს ადგილობრივ „ზვეზდასთან“ — 3:1. ქუთაისელთაგან ბურთები გაიტანეს შენგელიამ, მეგრელაძემ და კვერნაძემ, შემდეგ ტორპედოელებმა დუშანბეში ფრედ ითამაშეს „პამირთან“ — 1:1. ბურთი გაიტანა კერესელიძემ.

უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატში ყველაზე უკეთესი დასწრება აქვს თბილისის „დინამოს“. თბილისელთა მატჩებს განვლილ 11 ტურში დაესწრო 401. 205 მაყურებელი, რაც საშუალოდ ყოველ მატჩში 36.473 კაცს შეადგენს. მომდევნო ადგილებზე არიან კიევის „დინამო“ — 366. 700 და „შახტიორი“ — 284. 960.

ყველაზე მეტი მაყურებელი მოვიდა თბილისის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ მატჩზე თბილისში — 72. 300.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“	13	8	5	0	27-8	21
„ფაკელი“	13	8	3	2	16-7	19
„ტორპედო“ ქ.	13	8	2	3	25-14	18
„პამირი“	14	7	4	3	20-15	18
„ყუბანი“	14	8	1	5	22-11	17
„ლოკომოტ.“	13	6	5	2	16-9	17
„დაუგავა“	13	5	5	3	23-17	15
„კუზბასი“	13	5	5	3	12-7	15
„ისკრა“	14	4	6	4	10-14	14
ასკ „კარპ.“	13	5	3	5	15-13	13
„შინიკი“	14	4	5	5	17-15	13
„როტორი“	14	5	2	7	17-21	12
„დინამო“ ბ.	13	4	4	5	13-19	12
„კოლოსი“	13	4	4	5	12-18	12
„ნისტრუ“	14	4	4	6	11-23	12
„გურია“	13	3	6	4	13-18	12
„ზვეზდა“	14	4	3	7	12-16	11
„ტავრია“	14	2	6	6	12-18	10
„სპარტაკი“	13	3	3	7	10-16	9
„ირტიში“	13	2	5	6	10-15	9
ასკ ხ.	13	2	4	7	9-19	8
„ზარია“	13	1	5	7	10-18	7

II ლიგა

გუშინ გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-11 ტურის მატჩები.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:2 (0:0)

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 ივნისი.

თბილისი: ჰანტურია, ფირცხალავა ხორბალაძე, ახობაძე, ხვედელიძე, ნუცუბიძე, ტ. კაპანაძე (მურჯიკნელი), ჟორჟიკაშვილი, ა. კაპანაძე, გამყრელიძე (ბედიაშვილი), დოლიძე (ქურნია).

სამტრედია: ორდენიძე, ცუცქირიძე, კარანაძე, ქორიძე, მიქაძე, კოხრეიძე, გეთია, დოვჟენოკი, იობიძე, დურ. თვალაბეიშვილი, დვალიშვილი.

მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).

გათამაშების ცხრილში მეზობლად მყოფი თანაკლუბელების მდგომარეობა ცნობილია: თბილისელთა გუნდი სულ რამდენიმე თვეა ჩამოყალიბდა, მას ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება საბრძოლო ფორმის მოსაპოვებლად, სამტრედიელთა გამოცდილ კოლექტივს კი წლეულს გამოაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები ი. სიჭინავა, გ. ბაბუნიძე და ვ. შენგელია, რომლებიც ახლა თბილისის „დინამოში“, ბათუმის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობენ. ამიტომ გასაგებია ის არასტაბილური შედეგები, რომლებიც რკინიგზელებს აქვთ წლეულს ზონის გათამაშებაში.

პირველი ტაიმის უფერულ თამაშს შედეგი არ მოჰყოლია. შესვენების შემდეგ თბილისელებმა საგრძნობლად მოუმატეს ტემპს, რამდენიმეჯერ შეუტიეს, მაგრამ სტუმრებმა კარგად წარმართეს კონტრშეტევები, 68-ე წუთზე დვალიშვილმა ისარგებლა მოპირდაპირე მცველთა შეცდომით და გახსნა ანგარიში, შემდეგ კი მანვე, ანალოგიურ სიტუაციაში, თავით დაარტყა კარისკენ, ჰანტურია წამით შეფერხდა და მატჩიც დამთავრდა სამტრედიელთა გამარჯვებით —2:0.

გიორგი ეჯერელი.

ხალისით, ენთუზიაზმით აღვნიშნოთ ჩვენი ზეიმის დღე!

საქართველოში შარშან დაწესდა სასიხარულო, საზეიმო ყველასთვის ახლობელი დღესასწაული — ფეხბურთის დღე!

როგორც ვიცით, წლეულს ფეხბურთის დღე გაიმართება უახლოეს კვირას — 10 ივნისს. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი ეწვია საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს გიორგი ბაქანიძეს და სთხოვა ეამბნა „ლელოს“ მკითხველებისთვის, თუ როგორ აღინიშნება წლეულს ეს ყველასთვის სასიხარულო დღესასწაული.

— **ფეხბურთის დღე,** — თქვა გიორგი ბაქანიძემ, — ჩვენში მეორედ ეწყობა. გამოცდილება უკვე გვაქვს. შარშან მთელს საქართველოში ქალაქად თუ სოფლად, მთასა თუ ბარში, ყველამ, ვისაც კი შეეძლო, მონაწილეობა მიიღო ხალისიან შეხვედრებში, იმპროვიზებულ მატჩებში. ზოგი თავად თამაშობდა, ზოგი მსაჯობდა, ზოგი ორგანიზატორული საქმიანობით იყო გართული, სხვები კი სტადიონების ტრიბუნებზე ისხდნენ და ფონს უქმნიდნენ საერთო საფეხბურთო ზეიმს, ფეხბურთი გულშემატკივრის გარეშე ხომ წარმოუდგენელია.

ახალს, ეტყობა, ბევრს ვერაფერს გამოვიგონებთ. საფეხბურთო მინდვრებზე კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სკოლების, კოლმეურნეობების, საამქროების გუნდები, „ზემოუბნელები“ და „ქვემოუბნელები“, ახალგაზრდები და ხანდაზმულნი, ცოლიანები და უცოლოები, მასპინძლები და სტუმრები, დამხვდურნი და მოაგარაკენი, პიონერბანაკების გუნდები და სხვა მათი თანატოლნი. იმპროვიზაციას და ფანტაზიას აქ საზღვარს ვერავინ დაუდებს, ბურთი უნდა ითამაშოს ყველამ, ვისაც კი შეუძლია, ვისაც ნამდვილად უყვარს ფეხბურთი — საყოველთაო, სახალხო თამაში.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ყველა ქალაქსა და რაიონს დროულად დაუგზავნა დეპეშები და სანიმუშო გეგმები ფეხბურთის დღის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, ადგილებზე შეიქმნა საგანგებო საორგანიზაციო კომიტეტები, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ თავიანთ ფეხბურთელებსაც და გულშემატკივრებსაც.

ფეხბურთის დღის დევიზი ცნობილია— ჯანმრთელობა, სუფთა ჰაერზე ასპარეზობა, სიხალისე, ყველამ მაქსიმალური წვლილი უნდა გაიღოს ამ ზეიმის სათანადოდ ჩასატარებლად. ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამ დღესასწაულებზე აიდგან ფეხი პატარებმა, რომლებმაც შემდგომში საფეხბურთო საქართველო უნდა ასახელონ.

გვყავს ინიციატორებიც, რომლებიც თავიანთი თაოსნობით კიდევ უფრო ახალისებენ, ამრავალფეროვნებენ ამ საზეიმო დღეს. მაგალითად, ბორჯომში ფეხბურთის კვირეულს ატარებენ, ეს დღესასწაული იქ 3 ივნისს დაიწყო. გარდაბნის სპორტკომიტეტმა გადაწყვიტა ფეხბურთის დღის ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღოს ყველამ, ვისაც კი საამისოდ ძალა შესწევს, მწვანე მინდვრებზე სათამაშოდ გამოვლენ ათეულობით გუნდები, მათთვის ადგილობრივი სპორტული ორგანიზაციები არაფერს არ დაიშურებენ.

ფეხბურთის დღე ყველასათვის საზეიმო დღესასწაულია, დიდ ქალაქებშიც და სულ პატარა სოფლებშიც ამ დღეს დილიდან შებინდებამდე არ უნდა მინელდეს ბურთის ხმა, ახალგაზრდობის სიცოცხლით აღსავსე ხმაური.

ევროპის ჩემპიონატი

4. დანია

ფეხბურთის მიმომხილველები ბოლო ხანებში ბევრს წერენ დანიის ნაკრებზე და ეს არცაა გასაკვირი. გუნდი, რომელიც ყოველი წლის მიწურულს ევროპულ ნაკრებთა შორის მეორე ათეულის ბოლოში იკავებდა ადგილს, ახლა ისე მომძლავრდა, რომ 1983 წლის სეზონის შედეგების მიხედვით „ფრანს ფუტბოლმა“ იგი კონტინენტზე საუკეთესოდ აღიარა.

დანიელებმა შარშან მართლაც დიდ წარმატებას მიაღწიეს: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, ამასთან გადამწყვეტი მატჩი ინგლისელებს მოუგეს ლონდონში, თვით „უემბლის“ სტადიონზე (1:0). ამ ქვეყნის ნაკრებმა ომის შემდეგ ორჯერ თუ მოიპოვა წარმატება: 1960 წელს დანიელებმა რომის ოლიმპიადაზე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს, 1960 წელს კი ევროპის ჩემპიონატზე (მაშინ ამ შეჯიბრებას „ევროპის თასი“ ერქვა) ფინალში მოხვდნენ და IV ადგილი დაიკავეს.

„დანიური ფენომენის“ ცნებას მიმომხილველები დასავლეთგერმანელი მწვრთნელის, 43 წლის ზეპ პიონტეკის სახელს უკავშირებენ. 60-იან წლებში იგი ცნობილი მარჯვენა მცველი იყო, 6-ჯერ ითამაშა გფრ-ის ნაკრებში, შემდეგ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. 1979 წლის შემოდგომაზე ზ. პიონტეკმა დანიის ნაკრები ჩაიბარა, მას შემდეგ ამ გუნდმა მართლაც უჩვეულო შედეგებს მიაღწია: 48 მატჩიდან 23 მოიგო და მხოლოდ 17 წააგო.

მაგრამ ევროპელ მწვრთნელთა შორის არავინაა ზ. პიონტეკზე მძიმე მდგომარეობაში. ნაკრების 17 მოთამაშიდან მხოლოდ ხუთი გამოდის დანიის კლუბებში, დანარჩენები კი მთელ ევროპაში არიან გაფანტული და საკუთარ ნაკრებში თუნდაც ერთ მატჩში სათამაშოდ მათს მოსაწვევად მწვრთნელმა მთელი ომი უნდა გადაიხადოს. მაგრამ დანიელებს ამჟამად იმდენი შესანიშნავი ოსტატი ჰყავთ (ისევ „დანიური ფენომენი“!), რომ, უცხოური კლუბების წინააღმდეგობის მიუხედავად, მწვრთნელი ახერხებს ნაკრების გვარიანად დაკომპლექტებას.

დანიის ნაკრები ყურადღებას იპყრობს შემტევი სტილით, მას მეტოქის მინდვრებზეც საკმაოდ გააქვს გოლები. დანიელები უწინ ძალზე ნელა თამაშობდნენ, პიონტეკმა კი მთლიანად აღმოფხვრა ეს ნაკლი, გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

მაისის მეორე ნახევარში მწვრთნელმა გამოაცხადა 17 მოთამაშის სია, რომლებიც საფრანგეთში გამოვლენ: მეკარეები კიაიერი („ესბერგი“), კვისტი („კბ კოპენჰაგენი“), ა. რასმუსენი („აარჰუსი“); დაცვა — ბუსკი („გენტი“), მიოლბი („აიაქსი“), ნილსენი („ფეიენოორდი“), მ. ოლსენი („ანდერლეხტი“), ი. რასმუსენი („ჰერტა“), სვებეკი („ვეილე“); შუა ხაზი და თავდასხმა — ბერტელსენი („სერენი“), ლაურიდსენი („ესპანიოლი“), ლერბი („ბაიერნი“), სიმონსენი („ვეილე“), ბიორგრენი („პიზა“), ბრილი („ანდერლეხტი“), ელკეიარი („ლოკერენი“), ლაუდრუპი („ლაციო“).

დანიის ნაკრებში რამდენიმე გამოჩენილი ოსტატია. მათ შორის ყველაზე ცნობილია 31 წლის ალან სიმონსენი, ერთადერთი დანიელი, რომელიც „ოქროს ბურთის“ ლაურეატი გახდა. თავისი საუკეთესო წლები სიმონსენმა მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“, „ბარსელონასა“ და „ჩარლტონ ატლეტიკში“ გაატარა, შარშან კი დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს, საიდანაც თავისი ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერა დაიწყო. ახლა იგი დაცვისა და თავდასხმის ნამდვილი შემაკავშირებელია. მაღალი კლასის მოთამაშედ ითვლება ცენტრალური მცველი მ. ოლსენი. იგი 34 წლისაა, მაგრამ ასაკი არ ეტყობა. უფროსი თაობის ფეხბურთელები არიან, აგრეთვე, მცველები ბუსკი (30 წლის), ი. რასმუსენი (31) და ნახევარმცველი ბერტელსენი (31).

დიდ როლს თამაშობს ნაკრებში 26 წლის ნახევარმცველი ლერბი. მან ყურადღება მიიქცია ამსტერდამის „აიაქსში“, შემდეგ მიიწვიეს მიუნჰენის „ბაიერნში“. დასავლეთგერმანულ ჟურნალ „კიკერს“ ლერბი მიაჩნია ბუნდესლიგაში მოთამაშე ერთ-ერთ საუკეთესო უცხოელ ფეხბურთელად. როცა შარშან დანიაში დაწინაურდა ახალი, მეტად ნიჭიერი თავდამსხმელი ლაუდრუპი (იგი ამჟამად 19 წლისაა), ევროპის საფეხბურთო ბაზარზე ნამდვილი აუქციონი გაიმართა. საბოლოოდ ლერბი ტურინის „იუვენტუსს“ დარჩა. როგორც ცნობილია, იტალიის კლუბებს მხოლოდ ორი უცხოელის გამოყვანა შეუძლიათ, „იუვენტუსს“ კი უკვე ჰყავდა პლატინი და ბონეკი. ამ კლუბის ხელმძღვანელობამ ასეთ კომბინაციას მიმართა: ლაუდრუპი რომის „ლაციოს“ ათხოვა და, იტალიაში მოქმედი წესების თანახმად, მას, როცა უნდა, მაშინ დაიბრუნებს.

სხვა გუნდებისგან განსხვავებით, დანიელებს ევროპის ჩემპიონატისთვის რაიმე საგანგებო მომზადების საშუალება არა ჰქონიათ. მხოლოდ მას მერე, რაც ევროპის ქვეყნებში დამთავრდა ეროვნული ჩემპიონატები, დანიის ნაკრების მოთამაშეებმა კოპენჰაგენში მოიყარეს თავი, ხანმოკლე შეკრების შემდეგ დანიელები საფრანგეთს გაემგზავრებიან.

ვიქი გამრეკელი.

მკაცრი სასჯელი

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასების გათამაშების მატჩში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის „იუვენტუსი“ და პორტუგალიის „პორტუ“, ხულიგნურად მოიქცა პორტუგალიელთა მეკარე ზე ბეტუ. იგი უკმაყოფილო იყო არბიტრისა, ეცადა მუშტებით გაესწორებინა მასთან „ანგარიში“, მაგრამ თანაგუნდელებმა თავიანთი მეკარე ხელით დააკავეს. ამის მერე ზე ბეტუმ დროშა გამოსტაცა გვერდით მსაჯს და გადაამტვრია.

უეფა-ს ხელმძღვანელობამ თავგასული მეკარის მიმართ მკაცრ სანქციებს მიმართა: იგი დისკვალიფიცირებულია 12 თვით, ევროპული მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობას ვერ მიიღებს 1985 წლის 1 ივნისამდე, ამას გარდა, ზე ბეტუ გამოიყვანეს პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობიდან.

ფანტასტი მხატვარი

არგენტინის საფეხბურთო კლუბის „ესტუდიანტესის“ მოთამაშემ ფილიპე მირმა სურათების კრებული გამოსცა ასეთი სათაურით: „ჩემს მიერვე დახატული და ჩემს მიერ გატანილი გოლები“. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ როგორც მხატვარს ფ. მირს, უდავოდ, დიდი ფანტაზია აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ გოლების გატანის თვალსაზრისით იგი არგენტინის პირველი ლიგის თავდამსხმელთა შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა!

ორიენტირი— ვარსკვლავები

დასასრული

ლაიშვილმა (მწვრთნელი ანატოლი სლივკოვი), ხოლო შერეულ წყვილებში — ჰამლეტ ღარიბოვმა და კარინა სარქისიანმა (მწვრთნელი ელგუჯა ბითაძე). სამეულების შეჯიბრებაში პირველნი იყვნენ ლალი მელაძე, მაია გვრიტიშვილი და მედეა თოთლაძე (მწვრთნელი თამაზ ბუზიაშვილი). ყველა გამარჯვებული თბილისელია. ოთხეულებში გაიმარჯვეს რუსთაველმა აკრობატებმა ჰამლეტ სუთიძემ, კარენ არუთინიანმა, ალექსანდრე არუთინიანმა და არტურ გაბრიელიანმა (მწვრთნელი ვლადიმერ გურგენიძე). საბოლოოდ გუნდური I ადგილი დაიკავა თბილისმა (346,159 ქულა), II — რუსთავმა (333,569 ქულა), III— ქუთაისმა (187,756 ქულა).

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შევხვდით აკრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლის დირექტორს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს მიხეილ გეგელიას და ვთხოვეთ პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● დღესდღეობით აკრობატიკაში ფავორიტებად რსფსრ-სა და უკრაინის სპორტსმენები ითვლებიან. რატომ ვერ ვიხილეთ ისინი ამ ასპარეზობაში? მათი გამოსვლა ალბათ კიდევ უფრო გაზრდიდა ინტერესს შეჯიბრების მიმართ…

— თუ საიდუმლოს შემინახავთ, გეტყვით: სპორტსმენთა მზადება ისე გვაქვს დაგეგმილი, რომ მათ საუკეთესო ფორმას ტაშკენტში მიაღწიონ. ამ ეტაპზე ძლიერ სპორტსმენებთან შეხვედრას იმიტომ მოვერიდეთ, რომ ჩვენს აკრობატებს დამარცხების შემთხვევაში შეიძლებოდა საკუთარი ძალის რწმენა დაჰკარგვოდათ. ამჟამად ჩვენი გუნდი სოხუმში ვარჯიშობს — ახლო მომავალში კი მზად ვიქნებით, რომ ფავორიტებთანაც მოვაწყოთ სამატჩო შეხვედრა.

● რა დასკვნა გამოიტანეთ მოკავშირე რესპუბლიკების აკრობატებთან შეხვედრის შემდეგ?

— პირველ ყოვლისა, ისინი სერიოზულად ემზადებიან ტაშკენტის სპარტაკიადისთვის. ცალკეულ სახეობებში მათ ჰყავთ აშკარა ლიდერები. მიუხედავად ამისა, თუ საერთოდ ავიღებთ, უპირატესობა მაინც ჩვენს აკრობატებს ეკუთვნით. თუმცა ეს სულაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების საფუძველს! უპირატესობას გამოყენება უნდა. ჩვენს მწვრთნელებს კიდევ დიდი შრომა მართებთ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ფსიქოლოგიურ მომზადებას.

● რაიმე სიახლე ხომ არ არის მოსალოდნელი მომავალ სპარტაკიადაზე?

— ჯერჯერობით სიახლე მხოლოდ სპორტსმენთა ვარჯიშის შეფასებაშია. თუ ადრე ვარჯიშში მიღებული ქულები მრავლდებოდა მონაწილეთა რაოდენობაზე, ტაშკენტში წყვილთა და ჯგუფურ ვარჯიშებში პირველი ადგილისთვის სპორტსმენს დაეწერება 72 ქულა, მეორისთვის — 60, მესამისთვის — 50 და ა. შ. ხოლო ხტომებში — შესაბამისად 36, 30 და 25… გარდა ამისა, გამარჯვებულებს ნორმატივის შესრულებისთვის დაემატებათ კიდევ 10 ქულა. ამან საგრძნობად გაზარდა პირველ ადგილზე გასულთა უპირატესობა.

● სულ რამდენიმე თვეა თქვენი სკოლა რესპუბლიკური გახდა. რას გვეტყვით სამერმისო გეგმებზე?

— რესპუბლიკური სკოლის სახელი ძალიან ბევრს გვავალებს. ჩვენი მიზანია უფრო ინტენსიურად ავამოქმედოთ პერიფერიებში მომუშავე ჯგუფები. ჯერჯერობით მხოლოდ ის მოხერხდა, რომ რუსთავის სპორტსკოლაში სპეციალიზებული დარბაზი გაიხსნა. გარდა ამისა, გავაძლიერეთ სკოლის მწვრთნელთა შემადგენლობა. ასევე ვაპირებთ ბათუმში, როდესაც ტანვარჯიშის დარბაზის მშენებლობა დამთავრდება. ჯერჯერობით მხოლოდ პროექტითაა გათვალისწინებული სპორტული დარბაზის აშენება ქუთაისში. ამ საქმის დაჩქარებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. მშენებლობის გაჭიანურება კი ხელს შეგვიშლის გავუმკლავდეთ იმ მძაფრ კონკურენციას, რაც ახლო მომავალშია მოსალოდნელი.

ჯემალ კახრაძე.

ნელი კიმი… კვლავ სარბიელზეა

თბილისის სპორტის სასახლეში მოსულთა უმრავლესობას ადგილობრივი რადიოინფორმატორის სიტყვების გარეშეც, ცხადია არ გამოჰპარვია სსრ კავშირისა და გდრ-ის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა ამხანაგური მატჩის „მცირე დეტალი“: სპეციალისტებს შორის იყო ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტანვარჯიშის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი ნელი კიმი. თბილისის ტურნირზე იგი არბიტრად გახლდათ მოწვეული და ამ საქმესაც ისევე კარგად, წარმატებით გაართვა თავი, როგორც ადრე დიდი ტანვარჯიშის სარბიელზე გამოსვლისას.

განაწილდა „რიგის თასები“

ეს უკვე ოცდამესამედ ჩატარდა „რიგის თასების“ ტრადიციული ყოველწლიური გათამაშება მძლეოსნობაში. სპორტის მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა პროგრამის ექვსი სახეობა, რომლებშიც რიგის საქალაქო აღმასკომის მთავარი პრიზები თამაშდება.

შუბის ტყორცნაში პირველობდნენ რიგელები იანის ზირნისი (83,16) და სანდრა ლეიშკალნე (61, 54). ბადროს ტყორცნაში ყველას აჯობა ელინა კიშეევამ (მოსკოვის ოლქი, 66, 92). 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ალმაათელმა ნინა კრავჩენკომ — 24, 0, ხოლო 5-კილომეტრიანი დისტანცია პირველმა გაირბინა ნოვოსიბირსკელმა სერგეი სედოვმა — 13. 55, 5.

ერთი საპატიო პრიზი დაიმსახურა ასპარეზობის სტუმარმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში, ჩინელმა ჩჟუ ცზიანხუამ, რომელმაც 230 სმ დაძლია. მას მხოლოდ 3 სანტიმეტრით ჩამორჩნენ საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი სერგეი ზასიმოვიჩი (ყარაგანდა) და პოლონელი დარიუშ ზელკე, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

შედეგები მაღალი იყო სხვა სახეობებშიც. ლატვიის სოფლის სპორტის წარმომადგენელმა იანის ბოიარსმა ბირთვი 21, 28 მეტრზე ჰკრა. თავი გამოიჩინა რიგელმა ჭოკით მხტომელმა ალექსანდრე ობიჟაევმა — 570 სმ. მისმა თანაქალაქელმა, ლატვიის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტმა მარის ბრუჟიკსმა ორმაგი გამარჯვება იზეიმა. სამხტომში მისი შედეგია 17 მეტრი, ხოლო სიგრძეზე ხტომაში 788 სმ. ახალგაზრდა სპორტსმენმა პირადი მიღწევები გააუმჯობესა.

საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ანგოლის, ბულგარეთის, ვიეტნამის, იემენის არაბთა რესპუბლიკის, ჩინეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

გამარჯვება ვერონაში

იტალიის ქალაქ ვერონაში დამთავრდა უნგრეთის, პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და მასპინძელი ქვეყნის მძლეოსან ქალთა მატჩი. გაიმარჯვა საბჭოთა ქალთა გუნდმა, რომელიც პროგრამით გათვალისწინებული თოთხმეტი სახეობიდან რვაში პირველი იყო.

20 წლის ვოროშილოვგრადელმა სპორტსმენმა ოლგა ვლადიკინამ ყველას აჯობა 400 მეტრზე რბენაში — 50,45. აქ მეორე იყო კიეველი მარია პინიგინა — 51,43. 800-და 1500-მეტრიან დისტანციებზე სამივე პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. მათ შორის საუკეთესონი იყვნენ (შესაბამისად) კიროველი ლუბოვ გურინა (1.59,27) და მინსკელი რავილია აგლეტდინოვა (4,01,96).

100 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულმა, მოსკოველმა ვერა აკიმოვამ (12,96) წამის მეასედით გაუსწრო უნგრელ კსენია შიმკას.

კრასნოდარელი ტატიანა პროსკურიაკოვა პირველი იყო სიგრძეზე ხტომაში — 674. სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის, იტალიელ სპორტის მოყვარულთა გულის გასახარად, ყველას აჯობა მათმა თანამემამულემ, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა სარა სიმეონიმ — 192 სმ. მართალია, მას გაუსწრო კუბელმა სილვია კოსტამ, რომელიც უკონკურსოდ ასპარეზობდა. კოსტას მაჩვენებელი — 199 სმ — კუბის ახალი რეკორდი და მსოფლიოში სეზონის საუკეთესო შედეგია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არ იყო მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ტ. ბიკოვა.

ვილნიუსელმა გალინა მურაშოვამ ბადრო 69,02 მეტრზე ტყორცნა. ბირთვის კვრაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ნუნუ აბაშიძემ (ოდესა) გაუსწრო ახალ მსოფლიო რეკორდსმენს, მოსკოველ ნატალია ლისოვსკაიას. აბაშიძის შედეგია 21,28, ლისოვსკაიასი — 21,21.

დასასრულ, 4 X 400 მ ესტაფეტაში საბჭოთა სპორტსმენებმა 3.25,16 აჩვენეს და II ადგილზე გასულ პოლონეთის „კვარტეტს“ თითქმის შვიდი წამით გაუსწრეს.

ეძღვნება დიდოსტატის ხსოვნას

ერთი კვირაა ლენინგრადში მიმდინარეობს გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატის ალექსანდრე კოტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობს 8 ქვეყნის წარმომადგენელი 14 მოჭადრაკე (ოთხი დიდოსტატი, ექვსი საერთაშორისო ოსტატი და ოთხი ეროვნული ოსტატი).

ოთხი ტურის შემდეგ ლიდერობენ ევროპის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ლენინგრადელი ვალერი სალოვი და დანიელი ოსტატი ერლინგ მორტენსენი — 3-3 ქულა. ლენინგრადელმა ოსტატმა პირველ ტურში დამარცხების შემდეგ (წააგო ფინელ ვ. მიაკისთან) ზედიზედ მოუგო დიდოსტატ ი. რადულოვს (ბულგარეთი), საერთაშორისო ოსტატებს ვ. ვოროტნიკოვს (ლენინგრადი) და რ. ტიმბირეკს (გდრ). დანიელმა მოჭადრაკემ მოუგო ი. შტოლს (ჩეხოსლოვაკია) და რადულოვს, ორი შეხვედრა კი (ი. ელვესტთან, მიაკისთან) ყაიმით დაამთავრა.

ვილნიუსელ ვიქტორ გავრიკოვსა და ჩელიაბინსკელ ევგენი სვეშნიკოვს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

კალეიდოსკოპი

რუკით წყალქვეშ…

გდრ-ის ქალაქ ზენფტენბერგში ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალქვეშ ორიენტირებაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ ასპარეზობიდან 11 ოქროს, 9 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს.

ქალთა შორის საუკეთესო იყო ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი აინი ლეიკი, რომელმაც ექვსივე სახეობა მოიგო და, ცხადია, პირად ჩათვლაში გამარჯვებას ველარავინ შეეცილებოდა. აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა სევეროდონეცკელმა სერგეი ვოლკოვმაც. მას მხოლოდ ერთ ვარჯიშში („რუკა“) ხვდა ვერცხლის მედალი.

ზენფტენბერგის ტბაზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ექვსი ქვეყნის — ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და გდრ-ის სპორტსმენები. სსრ კავშირის წარმომადგენლებმა ყველას აჯობეს გუნდურ ჩათვლაში.

ეს ასპარეზობა თავისებური რეპეტიცია იყო ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც ავსტრიაში მოეწყობა 8-15 სექტემბერს.

არავითარი დანდობა

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე ქვეყნებმა თხოვნით მიმართეს უეფა-ს, რომ შესარჩევი მატჩების მსვლელობაში მიცემული გაფრთხილებები და დისკვალიფიკაცია ფინალური ეტაპისთვის გაუქმდეს.

უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ წესრიგის დამრღვევთ არავითარი დანდობა არ ექნებათ, ყოველი დანაშაული, რომელიც კი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოხდა, ზუსტადაა აღრიცხული. ფეხბურთელს, რომელმაც ფინალურ ეტაპზეც მიიღო გაფრთხილება, ავტომატურად მისცემენ დისკვალიფიკაციას თუ მისი საქციელი სხვა, უფრო მკაცრი სასჯელის ღირსი არ იქნა.

უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება.

„ლოკომოტივის“ ძნელი ამოცანა

რეგბისტთა ტურნირებით საკმაოდ მდიდარი. მაისის თვეში ყველაზე მნიშვნელოვანი საკავშირო თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები იყო.

თბილისში ადგილობრივმა „შევარდენმა“ ქუთაისის „სახლმშენს“ უმასპინძლა. სტუმრებისთვის ეს პირველი სათასო შეხვედრა გახლდათ, რადგან ისინი უმაღლესი ლიგის სხვა უძლიერეს გუნდებთან ერთად წინასწარი თამაშებისგან თავისუფალნი იყვნენ, „შევარდენმა“ კი მანამდე დაამარცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი (16:0), რომელმაც, თავის მხრივ, გათამაშების პირველ ეტაპზე ოთხი შეხვედრის ჯამში ერევნის „სპარტაკს“ სძლია.

„შევარდენისა“ და „სახლმშენის“ მატჩს პრინციპული მნიშვნელობაც ჰქონდა — ერთი თვის წინ მეტოქეები ქუთაისში შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ „სახლმშენმა“ (მწვრთნელი შ. ქურციკიძე) საქართველოს ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრა ამაღლობით ჩაატარა, გაიმარჯვა ანგარიშით 13:0 და პირველობაც დაისაკუთრა.

ბუნებრივია, თბილისელები ამჯერადაც რევანშის სურვილით აღსავსენი გამოვიდნენ მოედანზე. მართალია, უკვე მეათე წუთისთვის ანგარიში იყო 6:0 სტუმართა სასარგებლოდ (ა. ნაჭყებიამ ორჯერ ზუსტად დაარტყა საჯარიმო), მაგრამ მეორე ტაიმში „შევარდენმა“ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ი. საცერაძის მიერ მეტოქის „ქალაქის“ აღების შემდეგ დაწინაურდა კიდეც — 10:9. თბილისელმა რეგბისტებმა მსაჯის საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს ერთქულიანი უპირატესობა და საბოლოოდ შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 13:12.

სამწუხაროდ, თამაშის ბოლოს ზოგიერთ მოთამაშეს ნერვებმა უმტყუნა, რის გამოც კორექტულად დაწყებული მატჩი ლანძღვა-გინებით დასრულდა. რეგბის რესპუბლიკური ფედერაცია იმსჯელებს ამ ინციდენტზე.

უმაღლესი ლიგის მეორე ბინადარი — თბილისის „ლოკომოტივი“ კიევში ადგილობრივ „პოლიტექნიკს“ შეხვდა. მატჩის დასაწყისი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათ ტაიმი „მშრალი“ ანგარიშით მოიგეს — 11:0. შესვენების შემდეგ თბილისელმა სპორტსმენებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში, გაბედულად შეუტიეს მოწინააღმდეგეს და ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს — 9:11. მატჩის მიწურულს მასპინძლებს სულ უფრო უძნელდებოდათ რკინიგზელთა იერიშების მოგერიება. ამიტომ მათ ოთხი მოთამაშე შეცვალეს, მაგრამ, ეტყობა, მეტისმეტად „გაერთნენ“ ამ საქმით და „დაავიწყდათ“ დებულების ის პუნქტი, სადაც გარკვევითაა აღნიშნული, რომ საკავშირო თასის გათამაშების შეხვედრებში ნებადართულია მხოლოდ ორი სპორტსმენის შეცვლა.

საბოლოოდ თამაში კიეველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ „ლოკომოტივმა“ მატჩი გააპროტესტა. ამ რამდენიმე დღის წინ რეგბის საკავშირო ფედერაციის სპორტულტექნიკურმა კომისიამ განიხილა ეს საკითხი და კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს წაგება ჩაუთვალა. ასე რომ, გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა თბილისის „ლოკომოტივი“, რომელიც 24 ივნისს შეხვდება გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს. იმავე დღეს ითამაშებენ „შევარდენი“ და მოსკოვის „ფილი“.

მაისში მოეწყო აგრეთვე 1961-65 წლებში დაბადებულ რეგბისტთა საკავშირო პირველობის ორი ზონალური ტურნირი, სადაც წარმატება ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს „სახლმშენსა“ და „შევარდენს“. ისინი თავიანთ ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე გავიდნენ და ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს. უძლიერესთა ექვსეულის დასკვნითი ასპარეზობა ოქტომბრის ბოლოს ჩატარდება კოროსტიშევში.

6 ივნისს მოსკოვში დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდების მეორე ტურის შეხვედრები. სწორედ იქ გამოვლინდება ის რვა კოლექტივი, რომლებიც შემდეგ მიმოსვლით (ორ წრედ) განაგრძობენ პირველობისთვის ბრძოლას. შეგახსენებთ, რომ სადღეისოდ ქუთაისის „სახლმშენი“ 10 ქულით მეშვიდე ადგილზეა. ძნელი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდება თბილისის „ლოკომოტივს“, რომელსაც მხოლოდ ერთი მატჩი აქვს მოგებული (7 ქულა, X ადგილი).

გია ახალაძე.

რედაქტორი ა. შოგელია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაული. ტ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 07294